

# სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი

## კატალოგი



მცხეთა

2019

## კოლეჯის დირექტორის მიმართვა

მოგესალმებით,

ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი, არის სამართალმემკვიდრე პირველი ქართული სასწავლებლის, რომელიც გაიხსნა 1883 წელს, (საქართველოში იმ პერიოდში არსებობდა მხოლოდ იყალთოსა და გელათის აკადემიები). სასწავლებელში ძირითადად სოფლის მეურნეობის სპეციალობებს ასწავლიდნენ. სასწავლებელი დაარსა, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“ და, უშუალოდ, ილია ჭავჭავაძის მხარდაჭერით, ილია წინამძღვრიშვილმა საკუთარ მამულში (50 ჰა მიწის ფართობით), მანვე დააფინანსა სასწავლო კორპუსისა და სხვადასხვა დამხმარე შენობა - ნაგებობების მშენებლობა (საერთო საცხოვრებელი, მარანი - ყურძნის გადამუშავებისთვის, თავლა - მეწველი საქონლისათვის და სხვ.). ილია წინამძღვრიშვილი იხდიდა მასწავლებლების ხელფასებსაც. იმ პერიოდისთვის ასეთი ტიპის სასწავლებელი დიდი დახმარება იყო ხალხში ცოდნის გავრცელების საქმეში. სწავლება მიმდინარეობდა იაკობ გოგებაშვილის შედგენილი წესდებით. ამ სასწავლებელმა შეძლო ის, რომ სოფლის მეურნეობაში საქართველოში შრომა დაფუძნებული ყოფილიყო ცოდნაზე, ცოდნაზე დაფუძნებული შრომა და ევროპეიზაცია სოფლის მეურნეობისკენ.

სასწავლებელს მას შემდეგ ბევრჯერ შეეცვალა სახელი, მაგრამ აგრარული მიმართულებით სწავლების პროფილი არ შეუცვლია, ეს არის კარგი მაგალითი სადღეისოდაც. ის დღესაც ძირითადად აგრარული მიმართულების სწავლების პროფილით ფუნქციონირებს და თანამშრომლობს აგრარული პროფილის საქართველოს თითქმის ყველა უწყებასთან, როგორც სახელწიფო, ისე კერძო კომპანიებთან. კოლეჯმა 8- წლიანი შეჩერებისა და რეაბილიტაციის შემდგომ ავტორიზაცია გაიარა და პირველი სტუდენტები მიიღო 2016 წელს. დღეისათვის კოლეჯი ახორციელებს მოდულური პროგრამებით სწავლებას და საპილოტე პროგრამებს, როგორცაა: დუალური სწავლება (შრომაზე დაფუძნებული სწავლება) მეღვინეობა-მევენახეობის სპეციალობით და 9 კლასის ბაზაზე მოსწავლეებისთვის სპეციალობის დამადასტურებელ სერთიფიკატთან ერთად ზოგადი საშუალო განათლების მიღება (მეხილეობის სპეციალობით).

კოლეჯის დევიზია „ვასწავლოთ და ხელი შევუწყოთ დასაქმებაში“, კურსდამთავრებულთათვის დევიზი კი „დასაქმდი და დაასაქმე სხვებიც“. კოლეჯში ფუნქციონირებს თვითშემოქმედებისა და სპორტული კლუბები, შექმნილია საკონსულტაციო ჯგუფები სპეციალობების მიხედვით კურსდამთავრებულთა ხელშესაწყობად. მიმდინარეობს მოლაპარაკებები უცხო ქვეყნის კოლეჯებთან, სტუდენტების სწავლების გაცვლითი პროგრამების შესახებ აგრარული მიმართულებით. აგრარულ პროფილთან ერთად კოლეჯში მიმდინარეობს სწავლება და სამომავლოდ იგეგმება იმ სპეციალობების დამატება, რომლებიც მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მაცხოვრებლებს გამოადგებათ თვითდასაქმებაში, როგორცაა: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი, სასტუმრო საქმის სპეციალისტი,

სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქტების გადამუშავების ტექნოლოგია, მზარეულის, კონდიტერის, ხისა და ქვის მხატვრული დამუშავების, სამშენებლო სპეციალობები (ფილათმწიფობი, სანტექნიკოსი), მეზღვაობა (ლანდშაფტური დიზაინი) და სხვა სპეციალობები, რომლებიც მიესადაგება რეგიონისა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიმართულებებს.

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ მიმდინარეობს, ჩვენი კოლეჯის სამივე სასწავლო ფართის (წინამძღვრიანთკარის, თიანეთისა და სტეფანწმინდის სასწავლო კორპუსები) სრულად რეაბილიტირება და ინფრასტრუქტურის განახლება, რათა ღირსეულად აღინიშნოს 2018 წელს საქართველოში პირველი ქართული სასწავლებლის დაარსებიდან 135 წლის იუბილე. კოლეჯის კეთილმოწყობა და მისთვის მინიჭება იმ ფუნქციისა, იმ პოტენციალის გამომჟღავნება, რომელიც ამ სასწავლებლს აქვს, თუნდაც რეგიონალური მნიშვნელობით და საქვეყნო მნიშვნელობითაც ჩემი აზრით, ჩემი მოკრძალებული შეხედულებით არის ადეკვატური პასუხი დროის გამოწვევაზე.

ვფიქრობთ, რომ ის, რაც 135 წლის წინ გააკეთეს ჩვენმა დიდმა წინაპრებმა ხალხისათვის, დღესაც აქტუალურია. დღესაც საჭიროა მსოფლიო სამეცნიერო მიღწევების გაზიარება და ახალი ტექნოლოგიებითა და სტანდარტებით სწავლება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისათვის, რაც დაეხმარება ჩვენს ქვეყანას მსოფლიო ბაზარზე თავისი ადგილის დამკვიდრებაში და, შესაბამისად, გააძლიერებს ქვეყანასაც და თითოეულ დასაქმებულსაც. ჩვენი კოლეჯის კარი ღიაა სწავლის მსურველთათვის.

გისურვებთ წარმატებებს! დაიმკვიდრეთ თქვენი თავი წარმატებულთა შორის!

**თეიმურაზ ასათიანი**

**კოლეჯის დირექტორი**

## კოლეჯის ისტორია

1883 წლის 4 სექტემბერს ილია წინამძღვრიშვილის ხელმძღვანელობით წინამძღვრიანთკარში გაიხსნა პირველისასოფლო - სამეურნეო სკოლა. სკოლის წესდებებსა და სასწავლო გეგმაზე მუშაობდნენ იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ცხვედაძე.

1924 წელს სკოლას დაემატა სპეციალური კლასი და სასოფლო სამეურნეო სასწავლებელი დაერქვა, 1928 წლიდან ეწოდა\_ წინამძღვრიანთკარის ცენტრალური საცდელ – საჩვენებელი სასოფლო – სამეურნეო სასწავლებელი. 1933 წლიდან სასწავლებელს ეწოდა სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმი. 1966 წლიდან იწოდება წინამძღვრიანთკარის წინამძღვრიშვილის სახელობის საბაზო სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმი.

1993 წლიდან სასწავლებელი გადაკეთდა, როგორც წინამძღვრიანთკარის წინამძღვრიშვილის სახელობის ჰუმანიტარულ – ეკოლოგიურ კოლეჯი, ხოლო 2008 წლიდან ორი სასწავლებლის რეორგანიზაციის (მცხეთის პროფესიული ლიცეუმის და წინამძღვრიანთკარის ჰუმანიტარულ ეკოლოგიური კოლეჯის) შედეგად, ჩამოყალიბდა სსიპ წინამძღვრიანთკარის წინამძღვრიშვილის პროფესიული სწავლების ცენტრი.

2010 წელს მოხდა კოლეჯის ლიკვიდაცია. 2014 წლის 17 ივნისს წინამძღვრიანთკარის კოლეჯის ბაზაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დაფუძნდა სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი.

## კოლეჯის მისია

---

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მისიაა მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის, რითაც ხელს შეუწყობს რეგიონის სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებას.

ამისთვის კოლეჯი:

- ნერგავს თანამედროვე ტექნოლოგიებს;
- ზრუნავს კადრების მუდმივ განვითარებაზე;
- ამყარებს კავშირებს კერძო სექტორთან და უცხოელ პარტნიორებთან;
- ხელს უწყობს სტუდენტების გაცვლით პროგრამებში ჩართვას
- ხელს უწყობს დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობას და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას პროფესიული გადამზადების და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების შეთავაზებით;
- ხელს უწყობს კურსდამთავრებულებს საკუთარი ბიზნესის წამოწყებასა და თვითდასაქმებაში კონსულტირების გზით;
- აქტიურად თანამშრომლობს კერძო სექტორთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საერთო მიზნების (კვალიფიციური კადრების მომზადება და ეკონომიკის განვითარება) მისაღწევად.

## საკონტაქტო ინფორმაცია

---

ვებ-გვერდი: [tmk.edu.ge](http://tmk.edu.ge)

ელ.ფოსტა: [tmkcommunitycollege@tmk.edu.ge](mailto:tmkcommunitycollege@tmk.edu.ge)

მობ.: 577 21 50 90

## რას გთავაზობთ პროფესიული განათლება?

- ყველაზე მოთხოვნი პროფესიების დაუფლებას უმოკლეს დროში (6-30 თვე);
- განათლების მიღებას ნებისმიერ ასაკში, პროფესიული ზრდის შესაძლებლობას მთელი სიცოცხლის განმავლობაში;
- საქართველოს და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამის კვალიფიკაციას და ამით მთელი სიცოცხლის განმავლობაში შრომით კონკურენტუნარიანობას;
- თანამედროვე, ეფექტურ სასწავლო პროგრამებს, სასწავლო მასალებსა და რესურსებს, გადამზადებულ პედაგოგებს, ევროპული სტანდარტების შესაბამისად განახლებულ ინფრასტრუქტურას და თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას;
- პრაქტიკის გავლას სხვადასხვა ტიპის წამყვან ორგანიზაციებში.
- დახმარებას კარიერული დაგეგმვისას და დასაქმების უკეთეს შესაძლებლობებს;
- 100% დაფინანსებას სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ დაწესებულებებში.

## კოლეჯის საერთაშორისო პარტნიორები

კოლეჯის პარტნიორია გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP). გაეროს განვითარების პროგრამა უზრუნველყოფს მხარდაჭერის სერვისებს პროექტისათვის „საქართველოს სოფლის მეურნეობაში პროფესიული განათლებისა და ექსტენციის სისტემების მოდერნიზება“. აღნიშნული პროექტის ფარგლებში სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივ კოლეჯში მიმდინარეობს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების, ზოგადი განათლების ინტეგრირებული მოდულების და პროფესიული ორიენტაციის კურსების პილოტირება.

## დუალური მიდგომით სწავლება

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი ორ პროფესიულ პროგრამას (მეხილეობა, მევენახეობა - მეღვინეობა) ახორციელებს თანამედროვე სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პრინციპით. სწავლების პროცესში პრაქტიკული უნარების გამომუშავება ხდება რეალურ სამუშაო გარემოში (საწარმოში).

დუალური მიდგომის სწავლების შესახებ შეგიძლიათ დამატებითი ინფორმაცია მიიღოთ ვიდეოდან.

## კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები

---

1. სს ენერგო -პრო ჯორჯია
2. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო
3. სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრი
4. საქართველოს ეროვნული მუზეუმი
5. ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი
6. შპს მექანიზატორი
7. შპს კახური ტრადიციული მეღვინეობა
8. შპს ქართული ხილის კომპანია
9. შპს კუჭურიე ი.მ.ს.
10. შპს სამკერვალო მაუდი
11. შპს ჰასკო +
12. შპს უნიფორმა და უსაფრთხოება
13. ფიზიკური პირი - ნუკრი მახარაშვილი (მეფუტკრე)
14. ფიზიკური პირი - დავით მოსიაშვილი (მეფუტკრე)
15. ინდივიდუალური მეწარმე - ირმა გუბელაძე
16. ინდივიდუალური მეწარმე - ხათუნა კოშაძე
17. ინდივიდუალური მეწარმე - ლია მანჯგალაძე
18. ინდივიდუალური მეწარმე - ჟანეტა გაგილაძე
19. დაცული ტერიტორიების სააგენტო;
20. სასტუმრო „LM Club“;
21. სასტუმრო „სიმპათია“;
22. შპს „ელია“;
23. შპს „გორა“;

24. შპს „ხმელი წიფელი“;
25. საქართველოს დეკორატიული და ტყის შემქმნელი ენდემური სახეობების მწარმოებელთა ასოციაცია;
26. ფიზიკური პირი - სულიკო სინაძე;
27. ფიზიკური პირი - ზაქარია სინაძე.
28. შპს - ელსელემა
29. ინდივიდუალური მეწარმე - ანი პარკაული
30. რაიონული კოოპერატივი „დვალეთი“
31. შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“
32. შპს „აგრომოტორსი“
33. შპს „ენ ჯი ეს გრუპი“
34. მცხეთია მუნიციპალიტეტის მერია
35. შპს ელ აუდიტი
36. ფიზიკური პირი - დავით ალექსიძე (მეხილე)
37. ფიზიკური პირი - ეკატერინე ღრუბელაძე (მეხილე)
38. შპს „ჩვენი ფერმერი“
39. შპს „ქართული რძის პროდუქტები“
40. შპს „რესპუბლიკა“
41. დაბა თიანეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
42. თიანეთის მუნიციპალიტეტის მერია
43. ფიზიკური პირი - ომარ ქუცნაშვილი (მეხილე)
44. ფიზიკური პირი - თამარ ღანიშაშვილი (მეხილე)
45. სასოფლ-სამეურნეო კოოპერატივი - რკ „ყვარის მთა“
46. ყაზბეგის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
47. სსიპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დაბა სტეფანწმინდის N1 საჯარო სკოლა
48. კოოპერატივი „მთია“
49. ამხანაგობა „თიანეთი“

## პროფესიული სტუდენტის შეფასება

---

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
  - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
  - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება, ორჯერ, პროგრამის დასრულებამდე.
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.



## მეხილეობა (კურკოვანი კულტურები/თესლოვანი კულტურები)



1. პროგრამის სახელწოდება: მეხილეობა (კურკოვანი კულტურები/თესლოვანი კულტურები)
2. სარეგისტრაციო ნომერი: 08108-ს
3. მიზანი: საგანმანათლებლო მოდულური პროგრამის მიზანია პირისათვის „მეხილეობა (კურკოვანი კულტურები/ თესლოვანი კულტურები)“ პროფესიის შესაბამისი თეორიული ცოდნის მიცემა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.
4. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები  
პირს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ სახელმწიფო თუ არასახელმწიფო დაწესებულებაში, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია თესლოვანო და კურკოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა-წარმოებასთან, კერძოდ:
  - სამრეწველო ბაღებსა და სათბურებში;
  - სპეციალიზებულ სანერგეებში;
  - სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და ფერმერთა საკონსულტაციო ცენტრების სადემონსტრაციო-ექსპერიმენტულ ნაკვეთებში;
  - ნერგებისა და ჩითილების სარეალიზაციო პუნქტებში;
  - ხილის შემგროვებელ პუნქტებსა და საკონსოლიდაციო ცენტრებში;
  - საბაღე ტიპის პარკებსა და სარეკრეაციო ზონებში;

- სააგარაკო და სასახლკარე ნაკვეთებში;
- წვრილ, საშუალო და მსხვილ ფერმერულ მეურნეობებში;

**5. პროფესიული სპეციალიზაცია/სპეციალიზაციები**

მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მეხილეობაში (კურკოვანი კულტურები/თესლოვანი კულტურები/კაკლოვანი კულტურები)

**6. დაშვების წინაპირობა/წინაპირობები**

საბაზო განათლება

**7. სტრუქტურა**

**7.1 საბაზო განათლების საფუძველზე ჩარიცხულ პირთათვის:**

**სავალდებულო ზოგადი მოდულები**

1. კომუნიკაცია ქართულ ენაზე - მეცხოველისა და მეხილისათვის
2. მათემატიკური წიგნიერება - მეცხოველისა და მეხილისათვის
3. მეცნიერება და ტექნოლოგიები - მეცხოველისა და მეხილისათვის
4. მეწარმეობა - მეცხოველისა და მეხილისათვის
5. უცხოური ენა - ინგლისური ენა
6. მოქალაქეობა მეცხოველისა და მეხილისათვის
7. ინფორმაციული წიგნიერება 1

**ძირითადი სავალდებულო მოდულები**

**მოდული 1** მეხილეობის სამეურნეო-ბიოლოგიური საფუძვლები

**მოდული 2** ხილკენკროვანი კულტურების ბაღის გაშენება

**მოდული 3** ხილკენკროვანი კულტურების ბაღის მოვლა

**მოდული 4** ხილკენკროვანი კულტურების სარგავი მასალის წარმოება

**მოდული 5** ხილკენკროვანი კულტურების სხვა-ფორმირება

**მოდული 6** აგრომექანიზაცია

**მოდული 7** ხილ-კენკრის მოსავლის აღების ორგანიზება

**მოდული 8** ხილ-კენკრის დახარისხება და შენახვა

**მოდული 9** უვნებელი და ხარისხიანი ხილ-კენკრის წარმოების ორგანიზაცია

**სპეციალური მოდულები- კურკოვანი კულტურები**

**მოდული 10** კურკოვანი კულტურების ზოგადი დახასიათება

**მოდული 11** კურკოვანი კულტურების წარმოება

**სპეციალური მოდულები- თესლოვანი კულტურები**

**მოდული 12** თესლოვანი კულტურების ზოგადი დახასიათება

**მოდული 13** თესლოვანი კულტურების წარმოება

**მოდული 14** პრაქტიკული პროექტი - მეხილესათვის

**მოდული 15** გაცნობითი პრაქტიკა - მეხილესათვის

## **7.2 სრული ზოგადი განათლების საფუძველზე ჩარიცხულ პირთათვის:**

1. ინტერპერსონალური კომუნიკაცია
2. რაოდენობრივი წიგნიერება
3. ინფორმაციული წიგნიერება 1
4. მეწარმეობა 2
5. უცხოური ენა - ინგლისური ენა

### **ძირითადი სავალდებულო მოდულები**

**მოდული 1** მეხილეობის სამეურნეო-ბიოლოგიური საფუძვლები

**მოდული 2** ხილკენკროვანი კულტურების ბაღის გაშენება

**მოდული 3** ხილკენკროვანი კულტურების ბაღის მოვლა

**მოდული 4** ხილკენკროვანი კულტურების სარგავი მასალის წარმოება

**მოდული 5** ხილკენკროვანი კულტურების სხვა-ფორმირება

**მოდული 6** აგრომექანიზაცია

**მოდული 7** ხილ-კენკრის მოსავლის აღების ორგანიზება

**მოდული 8** ხილ-კენკრის დახარისხება და შენახვა

**მოდული 9** უვნებელი და ხარისხიანი ხილ-კენკრის წარმოების ორგანიზაცია

### **სპეციალური მოდულები - კურკოვანი კულტურები**

**მოდული 10** კურკოვანი კულტურების ზოგადი დახასიათება

**მოდული 11** კურკოვანი კულტურების წარმოება

### **სპეციალური მოდულები- თესლოვანი კულტურები**

**მოდული 12** თესლოვანი კულტურების ზოგადი დახასიათება

**მოდული 13** თესლოვანი კულტურების წარმოება

**მოდული 14** პრაქტიკული პროექტი - მეხილესათვის

**მოდული 15** გაცნობითი პრაქტიკა - მეხილესათვის

## **მოცულობა კრედიტებში**

	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის
საბაზო განათლების საფუძველზე ჩარიცხულთათვის	100	130
სრული ზოგადი განათლების საფუძველზე ჩარიცხულთათვის	65	95

**8. სწავლის შედეგები პროფესიული სპეციალიზაციის/სპეციალიზაციების გათვალისწინებით**

**პროგრამის გავლის შემდეგ პირს შეუძლია:**

- ხილკენკროვანი კულტურების მორფოლოგიური და ანატომიური აგებულების მიხედვით დახასიათება;
- ხეხილკენკროვანი კულტურების ჯგუფებად დაყოფა;
- ხილკენკროვანი კულტურების ძირითადი ჯიშების გამოცნობა და ბიოლოგიურ-სამეურნეო თვისებების დახასიათება;
- მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენების დროს სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვა;
- ბაღის გაშენების თეორიული საფუძვლების გაანალიზება;
- ბაღის გასაშენებლად ადგილის შერჩევა;
- საბაღე ფართობის ტერიტორიული მოწყობაში მონაწილეობა;
- ბაღის გასაშენებლად სარგავი მასალის შერჩევა-მომზადება და დარგვა;
- ხილკენკროვანი ბაღის მოვლის თეორიული საფუძვლების გაანალიზება;
- უსაფრთხოდ მუშაობის უზრუნველყოფა და გარემოს დაცვა;
- ბაღში ნიადაგის დამუშავება და განოყიერება;
- მორწყვისა და ირიგაციის სათანადოდ გამოყენება;
- ბაღში მცენარეთა დაცვა;
- ბაღის გაშენების თეორიული საფუძვლების გაანალიზება;
- ბაღში გაცდენილი ადგილის გამორგვა-შევსება;
- კრიტიკული სიტუაციების მართვა;
- დახურულ ფესვთა სისტემით ნერგის წარმოება;

- ხეხილის სხვლა- ფორმირების თეორიული საფუძვლების გაანალიზება;
- ახალგაზრდა ხეხილის ფორმირება;
- ხეხილის გასხვლა;
- ნიადაგის დასამუშავებელი სას.სამეურნეო მანქანა-დანადგარების იდენტიფიკაცია;
- სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებით ნიადაგის დამუშავების მონიტორინგი;
- მცენარეთა შესაწამლი და სასუქების შემტანი აგრეგატების შერჩევა;
- მცენარეთა შესაწამლი , მოსავლის ასაღები და დასახარისხებელი, სასუქების შემტანი აგრეგატების გამოყენება;
- მოსავლის აღების თეორიული საფუძვლების გაანალიზება;
- მოსავლის ასაღებად სათანადო ტექნიკა-ინვენტარის მომზადება;
- ხილის კრეფა;
- ხილის დახარისხება სათანადო პარამეტრების შესაბამისად;
- საცავების მომზადებას მოსავლის დროებით შესანახად შენახვის ოპტიმალური რეჟიმების დაცვით;
- თესლოვანი კულტურების იდენტიფიკაცია;
- თესლოვანი კულტურების ბოტანიკურ-მორფოლოგიური დახასიათება;
- თესლოვანი კულტურების ბიოლოგიური თავისებურებები;
- ინტენსიური ტიპის სამრეწველო სადემონტრაციო ნაკვეთზე თესლოვანი კულტურების იდენტიფიკაცია;
- თესლოვანი კულტურების წარმოებისას თეორიული საფუძვლების გაანალიზება;
- თესლოვანი კულტურების ბადის გაშენება;
- თესლოვანი კულტურების ბადის მოვლა;
- თესლოვანი კულტურების ბადის სხვლა-ფორმირება;
- თესლოვანი კულტურების მოსავლის აღება, ტრანსპორტირება, შენახვა;
- კურკოვანი კულტურების (ატამი, გატყემალი ბალი, გარგარი, ქლიავი ალუჩა...) იდენტიფიკაცია;
- კურკოვანი კულტურების ბოტანიკურ-მორფოლოგიური დახასიათება;
- კურკოვანი კულტურების ბიოლოგიური თავისებურებები;
- ინტენსიური ტიპის სამრეწველო სადემონტრაციო ნაკვეთზე კურკოვანი კულტურების იდენტიფიკაცია;
- კურკოვანი კულტურების (ატამი, ტყემალი ბალი, გარგარი, ქლიავი ალუჩა...) წარმოების თეორიული საფუძვლების გაანალიზება;
- კურკოვანი კულტურების ბადის გაშენება;
- კურკოვანი კულტურების ბადის მოვლა;
- კურკოვანი კულტურების ბადის სხვლა-ფორმირება;
- კურკოვანი კულტურების მოსავლის აღება, ტრანსპორტირება, შენახვა;
- სურსათის უვნებლობის წესების აღწერა ხარისხიანი პროდუქციის წარმოების მიზნით;
- მოცემული ტექნოლოგიური რუკის მიხედვით, კალენდარული ვადებისა და მცენარეთა განვითარების ცალკეული ფენოფაზების შესაბამისად გათვალისწინებული სამუშაოების

იდენტიფიცირება;

- უვნებელი და ხარისხიანი ხილვენკროვანი კულტურების წარმოების დროს და შესაბამისი დოკუმენტაციის შევსება.

**9. კოლეჯის პარტნიორები:**

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრი

შპს ქართული ხილის კომპანია

შპს მექანიზატორი

**10. პროგრამის ხანგძლივობა - 3 წელი**

## მეფუტკრე



1. სახელწოდება: მეფუტკრე
2. სარეგისტრაციო ნომერი: 08101-პ
3. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: მეფუტკრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
4. დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება
5. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:  
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს საფუტკრე მეურნეობებში ან შესაბამისი პროფილის გადამამუშავებელ საწარმოში, ასევე შეუძლია საკუთარი ბიზნესის წამოწყება და თვითდასაქმება.
6. მიზანი:  
პროგრამის მიზანია უზრუნველყოს პროფესიონალ მეფუტკრეთა მომზადება, რომლებიც დააკმაყოფილებენ დარგში მზარდ მოთხოვნებს. მეფუტკრეობის დარგთან დაკავშირებული უნარების გარდა, სტუდენტები შეიძენენ ფართოდ გამოყენებად, ზოგად/ტრანსფერულ უნარებს. ისინი აღჭურვილნი იქნებიან ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირების უნარ-ჩვევებით. ასევე არჩევითი მოდულების ბლოკი სტუდენტებს საშუალებას მისცემს ცოდნა გაიღმავონ პროფესიაში ან მომიჯნავე სფეროში, ან შეიძინონ დამატებითი ტრანსფერული უნარები. პროგრამის მოდულური სტრუქტურა ხელს შეუწყობს როგორც ქვეყნის შიგნით სტუდენტთა მობილობას, ისე სტუდენტთა საერთაშორისო მობილობას.
7. სწავლის შედეგები:  
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:
  - საფუტკრე მეურნეობის მოწყობა
  - მეფუტკრეობისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა
  - ფუტკრის მოვლა-პატრონობა

- მეფუტკრეობის პროდუქტების წარმოება
- ვეტერინარულ-სანიტარიული და სანიტარიულ-ჰიგიენური, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა
- საფუტკრე მეურნეობის ტექნოლოგიური და პირადი პროფესიული განვითარებისათვის მუდმივი ზრუნვა

**8. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება:**  
 პროფესიული პროგრამა შემუშავებულია სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მიერ, პროგრამა მოიცავს სავალდებულო ზოგად მოდულებს - 16 კრედიტს, სავალდებულო პროფესიულ მოდულებს -52 კრედიტს და არჩევით მოდულს -4 კრედიტს.

**9. კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები:**

1. ფიზიკური პირი - ნუკრი მახარაშვილი (მეფუტკრე)
2. ფიზიკური პირი - დავით მოსიაშვილი (მეფუტკრე)

**10. პროგრამის განხორციელების ადგილი:**

პროგრამა ხორციელდება ორ მისამართზე:

1. მცხეთის რ-ნი სოფ. წინამძღვრიანთკარი
2. დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ.N21

**11.პროგრამის სავარაუდო ხანგძლივობა:**

ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 16 თვე  
 არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 19 თვე

**12.პროგრამის მოცულობა:**

ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 72 კრედიტი  
 არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 87 კრედიტი



## მევენახეობა - მეღვინეობა (დუალური)



1. **პროგრამის სახელწოდება:** მევენახეობა-მეღვინეობა
2. **სარეგისტრაციო ნომერი** 08105-პ
3. **მიზანი**

პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური მევენახე-მეღვინე, რომელიც დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებს ხარისხის, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. კურსდამთავრებული შეძლებს სანერგეში, ვენახში, მარანში/მეღვინეობის ქარხანაში მუშაობას - ვენახის გაშენებასა და მოვლას, ყურძნის მოსავლის აღებასა და გადამუშავებას, ღვინის მოვლის ტექნოლოგიურ პროცესებში მონაწილეობას - შესაბამისი ტექნოლოგიური რუქებისა და პროცესების მიხედვით, აგროტექნოლოგიური ნორმების დაცვით. სამწლიანი პროგრამის დასრულების შემდეგ მევენახე-მეღვინე აღჭურვილი იქნება პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული ცოდნითა და უნარებით, გაეცნობა სფეროს ღირებულებებსა და ეთიკურ ნორმებს.

4. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს საშუალო დონის მენეჯერად მევენახეობის მეურნეობაში, ღვინის საწარმოებში, მარანში, ფერმერულ მეურნეობაში, საკონსულტაციო/საინფორმაციო ცენტრებში, კომპანიებში კონსულტანტად, ასევე შეუძლია მართოს საკუთარი საოჯახო კომპანია, იმუშაოს საშუალო დონის მენეჯმენტის დონეზე ნებისმიერ სახელწიფო და კერძო კომპანიაში, რომლის საქმიანობა მევენახეობასა და მეღვინეობას შეეხება.

5. **პროფესიული სპეციალიზაცია/სპეციალიზაციები:** უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მევენახეობა და მეღვინეობაში
6. **დაშვების წინაპირობა/წინაპირობები:** სრული ზოგადი განათლება

## **7. სწავლის შედეგები პროფესიული სპეციალიზაციის/სპეციალიზაციების გათვალისწინებით**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- სავენახე ნაკვეთის მომზადება და ვენახის გაშენება;
- ახალშენი და მსხმოიარე ვენახის მოვლა;
- ვენახის მავნებლებსა და დაავადებებთან ბრძოლის, ასევე ვაზის კვებაში პრობლემების აღმოფხვრის ღონისძიებების გატარება;
- სტრესული ფაქტორების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება;
- სარწყავ-სადრენაჟო სისტემების ექსპლუატაცია და მოვლა;
- ყურძნის მოსავლის აღება და სასაქონლო დამუშავება;
- მეღვინეობის ტექნოლოგიურ პროცესებში მონაწილეობა;
- ტექნოლოგიური სქემის მიხედვით ღვინის დამუშავება, ჩამოსასხმელი ხაზის მომზადება, ღვინის ჩამოსხმაში მონაწილეობა, პროდუქციის დასაწყობება, პროდუქციის რეკლამა და გაყიდვა;
- ღვინის მოვლის ტექნოლოგიური სქემების კონტროლი და მართვა;
- საშუალო ზომის საწარმოს მართვა, დაგეგმვა, ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვა.

## **8. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება**

საგანმანათლებლო დაწესებულებამ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა.

სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებულ 67,85% სწავლის შედეგები მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

## **9 . კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები:**

შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“

10. პროგრამის სავარაუდო ხანგძლივობა: 3 წელი;

11. მოცულობა კრედიტებში:

ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 85 კრედიტი

არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 115 კრედიტი

## საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი

1. სახელწოდება: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი
2. სარეგისტრაციო ნომერი: 10102-პ
3. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
4. დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება
5. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ტურისტულ სააგენტოში, ტურიზმის დეპარტამენტში, ტუროპერატორ კომპანიაში, მუზეუმში, ნაკრძალების/დაცული ტერიტორიების, არქეოლოგიურ ან არქიტექტურულ ძეგლებთან არსებულ საექსკურსიო ბიუროებში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, თვითდასაქმებით, მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისად.

### 6. მიზანი:

პროგრამის მიზანია მოამზადოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კვალიფიციური გიდი, მისცეს საჭირო თეორიული ცოდნა და გამოუმუშაოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რათა შეძლოს კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმება.

### 7. სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- უფლებამოსილი ორგანიზაციის მიერ ტურისტებისათვის შემუშავებული ტურისტული მარშრუტისა და შესაბამისი პროგრამის განხორციელება;
- საექსკურსიო მომსახურება მთელი საქართველოს ან/და კონკრეტული რეგიონის მასშტაბით;
- ტურისტული ჯგუფის მართვა;
- ტურის საორგანიზაციო სამუშაოების განხორციელება;
- პრობლემური სიტუაციების მართვა;
- ექსკურსიის მომზადება და ჩატარება.

**8. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება:**

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს ზოგად და პროფესიულ მოდულებს და არჩევით მოდულს - უცხოური ენა.

**9. სტრუქტურა და მოდულები:**

სავალდებულო მოდულები		ზოგადი	სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი მოდული/მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	
ინფორმაციული წიგნიერება 2	3	გაცნობითი პრაქტიკა-საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი	2	უცხო ენა - ინგლისური ენა A2/B1	4	
მეწარმეობა 3	3	საწარმოო პრაქტიკა-საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი	12			
უცხოური ენა - ინგლისური ენა	5	პრაქტიკული პროექტი-საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი	6			
		საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები	5			
		საქართველოს ისტორია და ეთნოგრაფია	5			

		ტურიზმის ინდუსტრია	6		
		ტურისტული მომსახურების სამართლებრივი უზრუნველყოფა	4		
		ქართული კულტურა და ხელოვნება	5		
		უსაფრთხოება და პირველადი გადაუდებელი დახარება	3		
		ექსკურსიის მომზადება	5		
		პრობლემური სიტუაციების მართვა	3		
		ტურის სარგანიზაციო სამუშაოების განხორციელება	5		
		ტურისტული ჯგუფის მართვა	4		
		ექსკურსიის ჩატარება	5		
		მუზეუმის ტურის წარმართვა	3		
		ღვინის ტურის წარმართვა	3		
		რელიგიური ტურის წარმართვა	3		
		დარგობრივი უცხოური ენა ინგლისური საქართველოს კულტურული	5		

		მემკვიდრეობის გიდისთვის			
<b>სულ:</b>	<b>11</b>	<b>სულ:</b>	<b>84</b>	<b>სულ:</b>	<b>4</b>

**10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:**

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

**11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:**

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% -ზე მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

**12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:**

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - XII პუნქტით გათვალისწინებული წესით.

**13. არაქართულენოვანი სტუდენტების სწავლება**

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით

**14. პარტნიორი ორგანიზაციები:**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი

**15. პროგრამის განხორციელების ადგილი:**

პროგრამა ხორციელდება მცხეთის რაიონის სოფ. წინამძღვრიანთკარში. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის სასწავლო აუდიტორიაში , ოთახი N310.

**16. პროგრამის ხანგძლივობა:**

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის -85 სასწავლო კვირა

არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 104 სასწავლო კვირა

**17. პროგრამის მოცულობა:**

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის -99 კრედიტი

არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 129 კრედიტი

## ელექტროობა

1. პროგრამის სახელწოდება : ელექტროობა/ Electricity

2. სარეგისტრაციო ნომერი: 07313-3

3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები :

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში / Basic Vocational Qualification in Electricity

4. მიზანი:

ელექტროობის პროფესიული პროგრამა უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას ელექტროობაში.

განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - ელექტროტექნიკა და ენერჯია - კოდი 0713. აღმწერი - „შეისწავლის სამრეწველო და კომერციულ საწარმოებში, ასევე საყოფაცხოვრებო პირობებში ელექტრო გაყვანილობისა და ელექტრომოწყობილობების მონტაჟს, ექსპლუატაციას, შეკეთებასა და ხარვეზების დიაგნოსტიკას. მოიცავს მიწისქვეშა და მიწისზედა ელექტროგაყვანილობის სადისტრიბუციო ქსელების მონტაჟსა და ექსპლუატაციას. ენერჯია შეისწავლის ენერჯიის გენერირებას“.

5. დაშვების წინაპირობა/წინაპირობები:

საბაზო განათლება;

6. დასაქმების შესაძლებლობები:

ელექტროობის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ ორგანიზაციაში ელექტრულ დანადგარებისა და სხვა ელექტრულ აპარატურის მომსახურე პირად: ელექტრიკოსად; ელექტროტექნიკური სისტემების მემონტაჟედ; შენობის ელექტრიკოსად; მომმარაგებელ-ელექტრიკოსად; ელექტრო-მექანიკოსად; ელექტროგაყვანილობის და ფიტინგების მემონტაჟედ; განათების სისტემების მემონტაჟედ; ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის მემონტაჟედ; დამცავი სიგნალიზაციის მემონტაჟედ; ქუჩების განათების და ელექტრული სასიგნალო მოწყობილობების მემონტაჟედ; ასაფრენ-დასაფრენი ბილიკების განათების მემონტაჟედ; და მზის ენერჯიის ელექტრული კოლექტორების მემონტაჟედ

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 35.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7411; 7412; 7413.



## 7. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები

- საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს 52 კრედიტი.

№	მოდულის დასახელება	მოდულზე წინაპირობა	დაშვების	კრედიტი
1	გაცნობითი პრაქტიკა ელექტროობაში	-		2
2	პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები			1
3	ინფორმაციული წიგნიერება 1			3
4	საინჟინრო ხაზვა			4
5	ელექტრული და ელექტრონული პრინციპები			4
6	კომუნიკაცია ელექტროობის სფეროში			4
7	უცხოური ენა ინგლისური ენა	-		4
8	მეწარმეობა 1	-		2
9	ჯანმრთელობა და უსაფრთოება ელექტროობაში	-		4
10	ელექტრული ტექნოლოგია	-		4
11	ელექტრული მანქანების თვისებები და გამოყენება	-		4
12	ელექტრული მონტაჟი	-		4
13	მათემატიკა ელექტრიკოსებისთვის	-		4
14	საინჟინრო პროექტი			8
	<b>ჯამი</b>			<b>52</b>

## 8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა - სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. გაუწიოს დაზარალებულს პირველადი სამედიცინო დახმარება;

2. გამოიყენოს ელექტრული ტექნოლოგიები, ელექტრობის წარმოების, გადაცემისა და განაწილების საშუალებები;
3. დაამონტაჟოს და შეამოწმოს განათება და ელექტრული წრედები საშინაო და მცირე საწარმოო გარემოში;
4. მოიპოვოს და გამოიყენოს საინჟინრო ინფორმაცია საკომუნიკაციო ტექნოლოგიის (ICT) გამოყენებით;
5. გამოთვალოს ფიგურათა მოცულობა, ფართობი და გამოიყენოს მონაცემთა გამოსახვის სტატისტიკური მეთოდები;
6. წაიკითხოს და დახაზოს საინჟინრო ნახაზები სხვადასხვა ტექნიკის, მათ შორის კომპიუტერზე დაფუძნებული ხაზვის სისტემის (CAD) გამოყენებით;
7. შექმნას და წარადგინოს პროექტი.

## **9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება**

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულია ელექტრობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

## **10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება**

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

#### **11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება**

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

#### **12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის**

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

#### **13. პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები და მოქმედების ვადა**

ჩარჩო დოკუმენტი - ელექტრონობა

#### **14. კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები:**

სს ენერგო -პრო ჯორჯია

#### **15. არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტების სწავლება**

მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

#### **16. პროგრამის განხორციელების ადგილი:**

მცხეთის რ-ნი სოფ. წინამძღვრიანთკარი, ძირითადი სასწავლო კორპუსის N105 და N106 აუდიტორიები

დაბა სტეფანწმინდის სასწავლო ფართი, ელექტრიკოსის სასწავლო აუდიტორია, ელექტრიკოსის სახელოსნო

**17. პროგრამის მოცულობა;**

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 52 კრედიტი

არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 67 კრედიტი

**18. პროგრამის ხანგძლივობა:**

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 12 თვე

არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 15 თვე.

## სატყეო საქმე

1. პროგრამის სახელწოდება: სატყეო საქმე, Forestry
2. სარეგისტრაციო ნომერი 08201-3
3. პროფესიული სპეციალიზაცია/სპეციალიზაციები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში / Secondary Vocational Qualification in Forestry

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მეტყევეობა, კოდი - 0821, აღმწერი - „შეისწავლის ტყის გაშენებას, კულტივირებას, მოვლასა და მართვას. ის ასევე მოიცავს ნადირობასა და ხაფანგით დაჭერას“.

### 4. მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს სატყეო საქმის სპეციალისტი, რომელიც აღჭურვილი იქნება შესაბამისი უნარ-ჩვევებით და უსაფრთხოდ განახორციელებს ტყეში სატყეო სამეურნეო ღონისძიებებს, მათ შორის: ხე-ტყის დამზადებას, ტყის აღდგენის ღონისძიებებს (თესლის შეგროვება, თესვა, დარგვა, სანერგის მოწყობა და სხვა). განახორციელებს ხე-ტყის დახარისხებას, უზრუნველყოფს ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვასა და მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას.

### 5. დაშვების წინაპირობა/წინაპირობები - სრული ზოგადი განათლება

### 6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

სატყეო საქმეში საშუალო საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს მენახშირედ, ტყის მჭრელად, ხე-ტყის დამამზადებლად, მეტყევედ, ხის მჭრელად, ხე-ტყის კრეისერად, ტყის მუშად სახელმწიფო სტრუქტურაში, ასევე, წვრილ, საშუალო და მსხვილ ბიზნეს ორგანიზაციაში (ლიცენზიის მფლობელები).

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 02.1; 02.10; 02.10.0; 02.2; 02.20; 02.20.0;
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდი: 9215

### 7. სტრუქტურა და მოდულები

„სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ხუთ ზოგად მოდულს (ჯამში 15 კრედიტი), ცხრა სპეციალიზაციის პროფესიულ/დარგობრივ მოდულს (ჯამში 33 კრედიტი). კვალიფიკაციის მისაღებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს **48 კრედიტი**.

ზოგადი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 1		3
2	ინტერპერსონალური კომუნიკაცია		3
3	რაოდენობრივი წიგნიერება		2
4	მეწარმეობა 2		2
5	უცხოური ენა - ინგლისური ენა		5
სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	გაცნობითი პრაქტიკა - სატყეო საქმე		1
2	ტყის ძირითადი მერქნიანი სახეობები		3
3	პირველადი გადაუდებელი დახმარება - სატყეო საქმე		2
4	ხე-ტყის დამზადება	მოდულები: <ul style="list-style-type: none"> <li>• გაცნობითი პრაქტიკა - სატყეო საქმე;</li> <li>• პირველადი გადაუდებელი დახმარება - სატყეო საქმე;</li> </ul> ტყის ძირითადი მერქნიანი სახეობები.	6
5	ტყის მერქნიან სახეობათა თესლების წარმოება	მოდული: ტყის ძირითადი მერქნიანი სახეობები	5
6	ტყის აღდგენა-გაშენება	მოდულები:	7

		<ul style="list-style-type: none"> <li>• გაცნობითი პრაქტიკა - სატყეო საქმე</li> <li>• ტყის ძირითადი მერქნიანი სახეობები</li> </ul>	
7	ტყის დაცვა ხანძრებისა და მავნებლებისაგან	მოდულები: გაცნობითი პრაქტიკა - სატყეო საქმე	2
8	ტყის არამერქნული რესურსით სარგებლობა		2
9	საწარმოო პრაქტიკა - სატყეო საქმე	პროგრამით განსაზღვრული ყველა დანარჩენი მოდული	5

**8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების შესაბამისწავლის შედეგები:**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- სატყეო სამუშაოს ჩატარებისთვის ლოკაციის მომზადება;
- მერქნული რესურსით სარგებლობა;
- ხე-ტყის დამზადება და დახარისხება;
- დამზადებულხე-ტყის ტრანსპორტირების უზრუნველყოფა;
- ტყის მერქნიან სახეობათა თესლების წარმოება;
- ტყის აღდგენის ღონისძიებების გატარება;
- ტყის დაცვა ხანძრებისა და მავნებლებისაგან;
- ტყის არამერქნული რესურსის დამზადება.

**9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება პროფესიული პროგრამა მოიცავს ზოგად და პროფესიულ მოდულებს.**

**10. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:**

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება.

## **11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება**

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

## **12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის**

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

## **13. პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები**

- ჩარჩო დოკუმენტი - სატყეო საქმე

## **14. პარტნიორი ორგანიზაციები:**



სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

#### **15. არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტების სწავლება**

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით

#### **16. პროგრამის განხორციელების ადგილი:**

პროგრამა ხორციელდება მცხეთის რაიონის სოფ. წინამძღვრიანთკარში (ძირითდი სასწავლო კორპუსი, ოთახი N309) და დაბა თიანეთის დამატებით სასწავლო ფართზე (მის.: დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ. 21 , სატყეო საქმის სპეციალისტის აუდიტორია)

სატყეო საქმის სწავლებისთვის სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე გამოიყენება ასევე ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყის ფონდი.

#### **17. პროგრამის მოცულობა:**

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 48 კრედიტი

არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 78 კრედიტი

#### **18. პროგრამის ხანგძლივობა:**

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 38 სასწავლო კვირა

არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 57 სასწავლო კვირა

## სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი

1. სახელწოდება: სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი
2. სარეგისტრაციო ნომერი: 07201-3
